ევროკომისარი იოჰანეს ჰანის საპასუხო წერილი ქართული სამოქალაქო საზოგადოებისადმი შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის განხილვის პროცესში 2018 წლის 13 თებერვალს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და დამოუკიდებელმა აქტივისტურმა ჯგუფებმა ერთობლივი წერილით მიმართეს ევროკომისრებს იოჰანეს ჰანს, მარიანა ტისენის და სესილია მალმსტრომს.

საპასუხო წერილი ევროკომისრებისგან ᲨᲠᲝᲛᲘᲡ უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ გამოიგზავნა, სადაც აღწერილია ევროკომისრების მოსაზრებები შრომის უსაფრთხოების მიღებულ კანონთან და საქართველოში შრომის პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

წარმოგიდგენთ ევროკომისრის იოჰანეს ჰანის წერილს

იოჰანეს ჰანი

ევროკომისიის წევრი

ბრიუსელი, 11.4.2018

Ares (2018) s. 1414391

ძვირფასო ქალბატონო ღვინიანიძე,

მადლობას მოგახსენებთ თქვენი 2018 წლის 13 თებერვლის წერილისათვის, რომელიც ეხება ქართული სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან შენიშვნებს პარლამენტის მიერ ახლახანს მიღებულ Ḍ□□□□□ უსაფრთხოების შესახებ □ კანონთან მიმართებით. ამ წერილით ასევე მსურს, წარმოვადგინო კომისრების - მალსტრომისა და ტისენის, პოზიციები.

ევროკავშირი სრულად ინფორმირებულია საქართველოში არსებულ სიტუაციაზე, რომელიც ეხება სამუშაო ადგილებზე არსებულ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას, ასევე, სამუშაო პირობებსა და ზოგადად სოციალურ დაცვას. ჩვენ არაერთხელ მოვუწოდეთ [მთავრობას] მოქმედებისაკენ და შეშფოთებულნი ვართ სამუშაო პირობებზე, შრომით ურთიერთობებსა და შრომითი უფლებებისა და სტანდარტების აღსრულებაზე ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემის შექმნის პროცესში პროგრესის ნაკლებობის გამო.

შრომითი უფლებებისა და სტანდარტების აღსრულების ეფექტიანი სისტემის არარსებობამ შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით (მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე) აღებული ვალდებულებების - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური კონვენციებით განმტკიცებული შრომის ძირითადი სტანდარტების საქართველოს კანონმდებლობასა და

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

პრაქტიკაში ეფექტიანი იმპლემენტაციის - დარღვევა.

საქართველოში არსებული ამჟამინდელი პრაქტიკა, ისევე, როგორც Ḍ□□□□□□ უსაფრთხოების შესახებ □ კანონი, სრულად არ შეესაბამება საქართველოს იმ ვალდებულებებს, რომელიც გულისხმობს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის [სტანდარტებთან] სამუშაო ადგილას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების და შრომის დაცვის სფეროში. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ეფექტიანი, პროპორციული და გამჭვირვალე სანქციების მოქმედებას, რომლებსაც დამსაქმებლებთან მიმართებით გააჩნია ნამდვილი და შემაკავებელი ეფექტი. ნათელი, განჭვრეტადი და აღსრულებადი წესები ასევე მნიშვნელოვანია ბიზნესისთვის, ინვესტორებისა და ვაჭრობისთვის. საქართველომ ცნო ის სარგებელი, რომელიც ძირითად შრომით სტანდარტებსა და ღირსეულ სამუშაოს შესაძლოა ჰქონდეს ეკონომიკის ქმედითობაზე, ინოვაციებსა და პროდუქტიულობაზე.

ამ ფონზე, კარგად ვიაზრებთ თქვენს შეშფოთებას Ḍ□□□□□□ უსაფრთხოების შესახებ □ კანონის დებულებებთან მიმართებით. ევროკავშირი მჭიდროდ დააკვირდება განვითარებულ მოვლენებს, მათ შორის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად, და განაგრძობს დაჟინებით მოთხოვნას, რათა კანონმდებლობის მოქმედების ფარგლებმა შრომის ინსპექტირების ჯეროვანი სისტემის დაარსებასთან ერთად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოს ყველა დასაქმებულის ეფექტიანი დაცვა ზედამხედველობისა და სანქციონირების უფლებამოსილებების მქონე ორგანოთა მიერ.

ასოცირების შეთანხმების თავის - ვაჭრობა და მდგრადი განვითარება, დებულებების შესაბამისად დაარსებული სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურები (როგორც ევროკავშირის, ისე საქართველოს მხარეს არსებული ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები), წარმოადგენს მნიშვნელოვან გამტარს, რომლის მეშვეობითაც სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია, ევროკავშირთან და საქართველოს ხელისუფლებასთან წამოჭრას ნებისმიერი პრობლემა, რომელიც უკავშირდება როგორც შრომით უფლებებს, ასევე ვაჭრობის კონტექსტში რელევანტურ გარემოსდაცვით საკითხებს. მოგიწოდებთ, რომ ისარგებლოთ აღნიშნული სტრუქტურებითა და მათ ფარგლებში ხელმისაწვდომი შესაძლებლობებით.

ევროკავშირი კვლავაც გააგრძელებს სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის სათანადო სისტემის დაარსებისა და საქართველოში უკეთესი სამუშაო პირობების ჩამოყალიბების მხარდაჭერას. დარწმუნებული ვარ, საქართველო, როგორც ევროკავშირის მნიშვნელოვანი პარტნიორი, ასოცირების შეთანხმების

შესაბამისად შრომის დაცვის მაღალი სტანდარტებისკენ გააგრძელებს სწრაფვას.

პატივისცემით,

იოჰანეს ჰანი